პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი | № 249 (11860) | სამშაბათი, 25 ოქტომბერი, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაღნარად ვაქციოთ დედაქალაქი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღე, სამშობლოვ, საოქტომბრო საჩუქრები!

რკინიგზელები იმარჯვებენ

ქუთაისი. (საკ. კორ.). საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებას აღწევს რკინიგზის სადგურ ქუთაისი მეორის კოლექტივი, რომელიც წლის დამდეგიდანვე გამართულად, უწუნოდ და უავარიოდ მუშაობს.

ქუთაისელმა რკინიგზელებმა 22 ოქტომბრისათვის გადამეტებით შეასრულეს ვაგონების დატვირთვა-გადმოტვირთვის ათი თვის დავალება, ნორმასთან შედარებით 36 წუთით შეამცირეს ვაგონების მოცდენა. სადგურის კოლექტივი ფართოდ იყენებს მუშაობის პროგრესულ მეთოდებს. ორთქლმავლების რადიომართვამ, აგრეთვე ვაგონების შემჭიდატვირთვამ დააჩქარა ვაგონების ბრუნვა და განვლილ პერიოდში 250-ზე მეტი ვაგონი გამოთავისუფლა. ყოველივე ამის შედეგად სადგურმა ნახევარ მილიონ მანეთზე მეტ ეკონომიას მიაღწია.

დიდი ოქტომბრის 43-ე წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე შესანიშნავ წარმატებებს აღწევენ ის ცვლები, რომლებსაც სადგურის მორგეები ჰ. ტყეშელაშვილი და გ. შავგულიძე ხელმძღვანელობენ. აღნიშნული ცვლები დავალებას 120-125 პროცენტით ანაღდებენ.

სადგურის შრომისმოყვარე კოლექტივი, რომელმაც მესამე კვარტალის შედეგების მიხედვით გზის სამტრედიის განყოფილებაში პირველი ადგილი მოიპოვა, იმისათვის იბრძვის, რომ წლიური დავალება ვადაზე ერთი თვით ადრე გაანაღდოს.

ცივრუსები სუფრას დაამშვენებს

კიდევ რამდენიმე დღე- და გალის რაიონის კოხორის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობაში დაიწყება ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფა. კოხორელთა გადაწყვეტილებაა პირველად მოკრეფილი ნაყოფით დაამშვენონ მშრომელთა საოქტომბრო სუფრა.

წელს კოხორელები სამშობლოს მისცემენ 350 ტონაზე მეტ მანდარინს, 80 ტონა ფორთოხალს და 15 ათას ცალ ლიმონის ნაყოფს. მეციტრუსეებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 50 ტონა მანდარინი, 20 ტონა ფორთოხალი და 5 ათასი ცალი ლიმონი.

ამ ვალდებულებათა პირნათლად შესრულებისათვის ენერგიული შრომაა გაჩაღებული. მეურნეობის კოლექტივი ცდილობს უდანაკარგოდ აიღოს მოსავალი და აღკვეთოს დანაკარგები.

ა. აქირთავა.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ინგლისის პროფკავშირთა დელეგაცია

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა 24 ოქტომბერს კრემლში მიიღო საბჭოთა კავშირში მყოფი დიდი ბრიტანეთის ტრანსპორტისა და არაკვალიფიციურ მუშათა პროფკავშირის დელეგაცია, რომელსაც ამ პროფკავშირის გენერალური მდივანი ფრენკ კაზენსი მეთაურობს. (საკდესი).

ქარხანა ადამიანებით ამაყობს

სიღნაღი. (საკ. კორ.). უკანასკნელ ხანებში წლორის მექანიკურ ქარხანაში ბევრი რამ ახალი გაკეთდა. საამქროები რეკონსტრუირებულია, აწყობ საამქროში პროდუქციას ხელით ეზიდებოდნენ, ახლა ამ სამუშაოს ამწევი მექანიზმები ასრულებენ. დამონტაჟდა ჭოკების ნახევრადავტომატური ნაკადური ხაზი, აქ დაიდგა უცენტროდ სახეხი დაზგა, ორმელმაც სამი დანადგარი შეცვალა.

მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვამ ქარხნის კოლექტივს საშუალება მისცა აეთვისებინა ახალი პროდუქციის გამოშვება. წნორელები დიდი რაოდენობით უშვებენ ფონდში „ზის-150“ მარკის თვითსაცელი ავტომანქანის სამმხრივ ამწე მექანიზმებს.

ქარხანა წარმატებით ანაღდებს პროდუქციის გამოშვების დავალებას. ცხრა თვის გეგმა 104,3 პროცენტით შესრულდა. ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯის, მასალების დაზოგვისა და წუნის შემცირების შედეგად წნორელებმა 350 ათასი მანეთი შეიტანეს შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში.

წნორში დამზადებული თვითსაცელი ავტომანქანის ამწე მექანიზმები დიდი რაოდენობით იგზავნება უნგრეთში, ბულგარეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ავღანეთში, ინდონეზიასა და სხვა ქვეყნებში.

ქარხანა წარჩინებული ადამიანებით ამაყობს. წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა ხარატი ოთარ ჯავშელი. იგი დღეში ამწე მექანიზმის 140-მდე დგუშს ამზადებს, ნორმა კი სამოცდაათ ცალზე მეტს არ ითვალისწინებს.

თბილისელთა შესანიშნავი ლაშქრობა

თბილისი ბაღებით, ხეივნებითა და გაზონებით მდიდარი ქალაქია. დღეისათვის მის ქუჩებს, მოედნებს, პარკებს ათ მილიონზე მეტი ხე და ბუჩქი ამშვენებს. იზრდება ქალაქი, მატულობს მისი სიგრძე და განი, ასევე იზრდება ბაღების რიცხვი, თვალწარმტაცი ხეივნებისა და გაზონების ფართობები.

დედაქალაქის ეს სილამაზე გარემოსილია მშრომელთა ზრუნვითა და სიყვარულით. ამ სიყვარულმა, ამ მზრუნველობამ მიიყვანა კვირას, 23 ოქტომბერს 250 ათასი თბილისელი ლოჭინის ხეივნი კახეთის გზატკეცილის უბანზე, ნადიკვარში ბოტანიკურ ბაღთან, ჭვრის მონასტრის შიშველ ფერდობზე ზაჰესის მახლობლად, „თბილისის ზღვისა“ და ლისის ტბის სანაპიროებზე იმ განზრახვით, რომ დედაქალაქის ამ გარეუბნებშიც დაერგოთ ათასობით ფიჭვი და კედარი, კვიპაროსი და ჭადარი, ალვის ხე, ხეხილი და ვაზი.

ჩვენი დედაქალაქის გამწვანებას ამ კეთილშობილურ საქმეში აქტიურად მონაწილეობდნენ მუშები, მოსამსახურეები, სტუდენტები, მოსწავლეები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, დეპუტატები, დედაქალაქის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. თბილისის მშრომელთა ეს შესანიშნავი თათხონობა მისაბაძია.

კვირას არაჩვეულებრივი გამოცოცხლება იყო ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში: ასობით ავტომანქანა საზეიმო ვითარებაში დაიძრა ზაჰესისაკენ, „თბილისის ზღვისაკენ“, ნადიკვარისაკენ, ლოჭინის ხეივნისაკენ...

გარეუბნების ყველა მიმართულებით მიჰქროდნენ ისინი და თან მიჰყავდათ შვიდწლედის მამაცი ადამიანები: მუშა-მოსამსახურეები, მეცნიერები, ინჟინერ-ტექნიკოსები, ხელოვნების მუშაკები, დიასახლისები...

მრავალმა ათეულმა ათასმა თბილისელმა ამ დღეს ხელში აიღო ბარი, თოხი და წერაქვი. მათ სახელოვანი შრომით დაიწყეს „მწვანე მეგობრის დღესასწაულის“ ორთვიური: მალე ისინი მოშრიალე ხეივნების ზოლებით დაამშვენებენ და გააკეკლუცებენ ისედაც მიმზიდველ მშობლიურ თბილისს!

თბილისელი მშრომელების მტკიცე გადაწყვეტილებაა: რამდენიმე კვირაში მოამზადონ ნიადაგი და დარგონ: მილიონნახევარი ელდარის ფიჭვი, ჭადარი, ალვის ხე, ჰიმალაის კედარი, კვიპაროსი, ვაზი, ბზა...

დაიწყო შემოქმედებითი შრომის შესანიშნავი დღე. შემოდგომის მზის სხივებზე აელვარდნენ წერაქვები, თოხები...

გამწვანებისათვის ბრძოლის ფრონტზე ვხედავთ თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ, ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო, 26 კომისრის სახელობის ქარხნების, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, მეცნიერებათა აკადემიის, ინსტიტუტების, სამინისტროების და სხვა საწარმო-დაწესებულებათა კოლექტივებს. გამწვანების სამუშაოებს ბეჯითად ასრულებდნენ მუშები, მეცნიერები, ინჟინრები, ექიმები, მწერლები, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, მინისტრები, ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები. მათთან ერთად მუშაობდნენ ვ. პ. მჟავანაძე, პ. ვ. კოვანოვი, გ. ს. ძოწენიძე, გ. ი. ქადაგიძე, გ. ა. გეგეშიძე.

თავდადებული შრომის მაგალითი უჩვენეს სსრ კავშირის სახალხო არტისტმა პ. ამირანაშვილმა, რომელიც თავის ვაჟიშვილთან დავითთან ერთად მუშაობდა. დაუღალავად შრომობდნენ აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ზეინკალი ვ. სუხიშვილი, სოციალისტური შრომის გმირი მჭედელი კ. ილურიძე, აკადემიკოსები რ. დვალი, ს. დურმიშიძე, ვ. მახალდიანი...

ვინ ჩამოსთვლის მათ. ამ დღეს ხომ, როგორც იტყვიან, ქუდზე კაცი იყო გამოსული...

დედაქალაქის მწვანე ნარგავებით დამშვენებისათვის გაშლილ ბრძოლაში აქ ჩაებნენ რკინიბეტონის, ავტოსარემონტო ქარხნების, ამიერკავკასიის რკინიგზის საავადმყოფოს, სკოლების კოლექტივები...

ვაქციაცურად ურტყამდა წერაქვს მკვრივ მიწას ავტოსარემონტო ქარხნის მოწინავე ზეინკალი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი პ. მუხიგულაშვილი.

— სხვა დროსაც ბევრჯერ ვყოფილვარ აქ, სამგორის მიწაზე, — თქვა მან, — ვინ იფიქრებდა, რომ ყოფილი მკვდარი მიწა ასე გაცოცხლდებოდა. გულსა და სულს ატკბობს თბილისის ზღვა, მოშრიალე ხეივნები... კიდევ უფრო ლამაზი უნდა გავხადოთ იგი. ეს თვითეული თბილისელის ღირსების საქმეა!

საწარმო-დაწესებულებების მშრომელთა შორის მძლავრად გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. იკისრეს და კიდევაც გაანაღდეს, პირნათლად შესრულეს ვალდებულება! ამ დღეს თბილისელებმა რამდენიმე ათეული ათასი ორმო ამოიღეს, ზოგან მწვანე ნარგავებიც დარგეს.

მარტო ლოტკინის გორის მახლობლად, „თბილისის ზღვის“ მისასვლელთან ამოღებულ იქნა 12.000 ორმო.

გამწვანების დიდი სამუშაოები შესრულდა აგრეთვე ჯვრის მონასტრის შიშველ ფერდობებზე ზაჰესის მახლობლად, ნადიკვრის, საბურთალოს, ლოჭინის ხეივის, ლისის ტბის მიდამოებსა და სხვა ადგილებში.

მშრომელებმა მინდვრად სახელდახელოდ გამოუშვეს ბიულეტენები, სათაურებით „ბარნარად ვაქციოთ საყვარელი დედაქალაქი!“.

მშრომელები ბიულეტენებში ქებით იხსენიებდნენ იმ ადამიანთა გვარებს, რომლებმაც თავი ისახელეს დიადი საქმის კეთებაში, დედაქალაქის მიდამოების მარად მწვანე სამოსელით შემკობაში.

მალე გაიფურჩქნებიან და აშრიალდებიან თბილისელთა მიერ დარგული მცენარეები.

ა. ბოცირიძე,
ო. არობელიძე.

სურათებზე: ზევით — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მჟავანაძე ესაუბრება მშრომელთა ჯგუფს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ქ. თბილისის გამწვანებისათვის ლაშქრობაში; სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშები მათთვის მიჩენილ უბანზე; სამგორის რაიონის სოფელ კუმისის საშუალო სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები მუშაობის შემდეგ.

ფოტო ვ. გინზბურგისა და შ. ჩხეტიანისა.

დიდი ქართველი პედაგოგი

იაკობ გოგებაშვილის დაბადების 120 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო-საზეიმო სხდომა ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში

— დღეს, — ამბობს იგი, — მთელი ქართველი ხალხი დიდი სიყვარულით აღნიშნავს გამორჩენილი განმანათლებლის, ახალი ქართული პედაგოგიკის ფუძემდებლის, საყვარელი საბავშვო მწერლის იაკობ გოგებაშვილის დაბადების 120 წლისთავს. მთელი თავისი შესანიშნავი სიცოცხლე მან მოაზმარა ბრძოლას თავისი ხალხის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, მოზარდი თაობის აღზრდას, რომელსაც მომავალში უნდა აეშენებინა ახალი, ბედნიერი ცხოვრება.

სხდომაზე მოხსენება ი. გოგებაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა თ. ლაშქარაშვილმა.

იაკობ გოგებაშვილი ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს დაუცხრომლად შრომობდა შშობლიური ხალხის საკეთილდღეოდ, ხალხისა, რომლის მხურვალე სიყვარული იგი გამსჭვალული იყო მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში. მოწინავე ქართული კულტურის საფუძვლებზე, დიდი რუსი რევოლუციური დემოკრატების — ბელინსკის, ჩერნიშევსკის, გერცენის, დობროლიუბოვის მოძღვრებაზე აღზრდილი, იგი აქტიურად ჩაება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რომელსაც ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი მეთაურობდნენ, და მათი უახლესი თანამებრძოლი გახდა.

იაკობ გოგებაშვილის მრავალმხრივ საზოგადოებრივ და ნაყოფიერ მეცნიერულ მოღვაწეობაში, აღნიშნა მომხსენებელმა, განსაკუთრებული ძალით სცემს პედაგოგიური ნაკადი. იგი სამართლიანად ითვლება ქართული პედაგოგიკის ფუძემდებლად. მისი პედაგოგიური მოძღვრების საფუძველია ხალხურობის პრინციპი.

ფასდაუდებელია იაკობ გოგებაშვილის დამსახურება, როგორც შესანიშნავი საბავშვო მწერალი, ბავშვებისა და ახალგაზრდობის — „დედა ენის“, „ბუნების კარისა“ და „რუსკი სლოვოს“ შემდგენელისა, რომლებმაც უდიდესი როლი შეასრულეს ჩვენი ხალხის განათლების განვითარების ისტორიაში.

საიუბილეო სხდომაზე მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ი. კომენსკის სახელობის პედაგოგიკის ინსტიტუტის საპატიო დირექტორმა აკადემიკოსმა ო. ხლუბმა. მან თქვა:

— იაკობ გოგებაშვილის სახელი კარგად არის ცნობილი არა მარტო საქართველოში, არამედ ჩვენს ჩეხოსლოვაკიაშიც. მისი პედაგოგიური მოძღვრება, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი აქტუალურობა, მისი მითითებანი იმის შესახებ, რომ საჭიროა შშობლიურ ენაზე სწავლა, მის მიერ ცხოვრებასთან სწავლების კავშირის საკითხთა დამუშავება აღზრდის საფუძველზე, ჩვენი იან ამოს კომენსკის მოძღვრების შემდგომი განვითარებაა.

სხდომაზე გამოვიდნენ: ქართველი ინტელიგენციის სახელით — სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ე. ხარაძე, აჭარის მშრომელთა სახელით — აჭარის ასსრ განათლების მინისტრის მოადგილე ე. ცივაძე, რუსეთის სფსრ პედაგოგიური საზოგადოებრიობის სახელით — რუსეთის სფსრ პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ნ. გონჩაროვი, აფხაზეთის მშრომელთა სახელით — აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრის მოადგილე ქ. კოკაია, ლატვიის სსრ პედაგოგიური საზოგადოებრიობის სახელით — ი. ფრეიდენფელდი, იაკობ გოგებაშვილის თანამდროვე, რუსეთის ენის დამსახურებული მასწავლებელი ნ. ბოცვაძე, ყირგიზეთის სსრ მშრომელთა სახელით — ბ. უმთელევა, თბილისის მოსწავლეთა სახელით — პირველი საშუალო სკოლის მოსწავლე დ. ღლონტი, სომხეთის სსრ მშრომელთა სახელით — ვ. ანდრიასიანი. პოეტმა იოსებ ნონეშვილმა წაიკითხა „დედა ენის“ ავტორისადმი მიძღვნილი ლექსი.

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი. (საქდესი).

გამოღვიძებული აღმოსავლეთი

საბჭოთა ჟურნალისტების ჩანაწერები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტის შესახებ

მოსკოვი. 21 ოქტომბერი. (საკდესი). ოცდათორმეტ დღეს — 1960 წლის 10 თებერვლიდან 4 მარტამდე გრძელდებოდა ნიკიტა სერგეის ძე ხრუშჩოვის დაუვიწყარი ვიზიტი სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნებში, ვიზიტი, რომელსაც ყველა კეთილი ნების ადამიანმა სამართლიანად უწოდა მშვიდობისა და მეგობრობის მისია. დაახლოებით 24 ათასი კილომეტრი გაიფრინა ამ ხნის განმავლობაში საჰაერო ლაინერმა, რომლითაც საბჭოთა მთავრობის მეთაურმა იმოგზაურა ინდოეთში, ბირმაში, ინდონეზიასა და ავღანეთში.

ამ ისტორიულ მოგზაურობას ახახავს ჩანაწერები საბჭოთა ჟურნალისტ ე ბ ი ს ჯ, რომლებიც თან ახლდნენ ნიკიტა სერგეის-ძე ხრუშჩოვს აზიის ქვეყნებში მოგზაურობის დროს. მათ მიერ დაწერილი წიგნი „გამოღვიძებული აღმოსავლეთი“ — ამაღლებული რეპორტაჟი იმის შესახებ, თუ როგორ ხდებოდა და ესახებრებოდა ნიკიტა სერგეის-ძე ხრუშჩოვი აზიის ქვეყნების უბრალო ადამიანებს, სხვადასხვა პოლიტიკური და რელიგიური შეხედულების, სხვადასხვა ქონების მქონე, განათლებისა და სოციალური მდგომარეობის ადამიანებს — 21 ოქტომბერს გამოვიდა. იგი გამოსცა პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ

„ბუნებრივია, რომ ვერავითარი, თვით უზარმაზარი მოცულობის წიგნიც ვერ გადმოსცემს სავსებით ჩვენს შთაბეჭდილებებს, იმ გრძნობებსა და აზრებს, რაც „მილიონობით ადამიანმა გამოხატა საბჭოთა მთავრობის მეთაურთან შეხვედრების დროს. ჩვენ შევეცადეთ აგვეხახა მთავარი, ის, რაც ყველაზე უფრო გვაღელვებდა, რაც მოვახწარით მოკლედ ჩაგვწერა ჩვენს ბლოკნოტებში იქ, ამ შეხვედრებისა და საუბრების ადგილზე“, — წერენ თავიანთ მიმართვაში მკითხველებისადმი წიგნის ავტორები ა. აჯუბეი, ბ. ბურკოვი, ი. ვორონოვი. ი. ეუკოვი. ლ. ილიჩოვი, ვ. ლებედევი, ვ. მაევსკი, ფ. ორეხოვი, ნ. პასტუხოვი, კ. პერეეფშჩიკოვი, პ. სატიუკოვი. მ. სტურუა, ო. ტროიანოვსკი, ი. ტრუშინი, მ. ხარლამოვი, ო. ჩერჩოკინი, ე. შეველიოვა.

საბჭოთა ჟურნალისტების ჩანაწერებმა ორი ტომი შეადგინა. პირველ ტომში მოთხრობილია ნ. ს. ხრუშჩოვის მოგზაურობის შესახებ ინდოეთსა და ბირმაში, დამოუკიდებელი განვითარების გზა განვლეს ამ ქვეყნებმა, რომლებმაც თავი დააღწიეს კოლონიალიზმის უღელს. მოთხრობილია აზიის ხალხთა ცხოვრებასა და ბრძოლაზე, ფიქრებსა და იმედებზე. მეორე წიგნი ეძღვნება ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტს ინდონეზიასა და ავღანეთში, ამ ქვეყნებში, რომელთაგან თვითეულს აქვს თავისი ისტორია, თავისი პრობლემები და თავისებურებანი, მაგრამ რამ რომ ე ბ ლ ა ც აქვთ აგრეთვე საერთო ნიშნები: ხალხთა მხურვალე მისწრაფება, რომ დაიცვან მძიმე ბრძოლით მოპოვებული დამოუკიდებლობა, მიაღწიონ პროგრესს, განამტკიცონ მშვიდობა.

„გამოღვიძებული აღმოსავლეთი“ გვიჩვენებს, თუ რა მხურვალედ იწონებენ აზიის ხალხები სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარულ ლენინურ საგარეო პოლიტიკას, გვიჩვენებს ხალხთა მასების უარყოფ მზადყოფნას იარონ თავისუფლებს, მშვიდობისა და ბედნიერების გზით.

წიგნში არის ბევრი ფოტოსურათი, რომლებიც გადაიღეს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში მოგზაურობის დროს ნ. ს. ხრუშჩოვის თანმხლებმა ჟურნალისტებმა.

კოლონიათა ხალხები თავისუფალი იქნებიან!

ბაზეთების „პრავდისა“ და „იზვესტიის“ სპეციალური დამატებანი

სრული ტექსტები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე გამოსვლებისა კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების საკითხზე.

მოსკოვი, 22 ოქტომბერი. (საკდესი). საბჭოთა ხალხი უდიდეს ინტერესს იჩენს სამარცხვინო კოლონიური სისტემის სრული და დაუყოვნებლივი ლიკვიდაციის, კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების საკითხის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში განხილვისადმი, რომელიც საბჭოთა კავშირმა დააყენა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე.

გაითვალისწინეს რა ეს, გაზეთების „პრავდისა“ და „იზვესტიის“ რედაქციებმა გამოუშვეს სპეციალური დამატებანი, რომლებშიც გამოქვეყნებულია სრული სტენოგრაფიული ანგარიში ამ საკითხზე დისკუსიის შესახებ, რომელიც გაიმართა გენერალური ასამბლეის სესიაზე 1960 წლის 12-13 ოქტომბერს.

დამატებებში მოთავსებულია სრული ტექსტები „კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე ნ. ს. ხრუშჩოვის (საბჭოთა კავშირი), უ. ორმსბი-ჰორის (ინგლისი), დ. ვიდჩის (აკვანეთი), გ. მეირის (ისრაელი), ზულფიკარ ალი-ხან ბხუტოს (პაკისტანი), როდრიგესის (ვენესუელა), ფ. ეილკოქსის (ამერიკის შეერთებული შტატები), სეკუ ტურეს (გვინეა), რ. სახას (ნეპალი) გამოსვლებისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე.

ამ დისკუსიამ ერთხელ კიდევ ცხადყო, — ნათქვამია გაზეთ „პრავდის“ დამატებაში, — რომ კაცობრობას აღარ შეუძლია იატანოს კოლონიალიზმი — წარსული საუკუნეთა ბარბაროსობისა და ველურობის სახიზღარი მემკვიდრეობა.

დგება კოლონიალიზმის აღსასრულის ჟამი! კოლონიათა ხალხები თავისუფალი იქნებიან!

(იუგოსლავია), ვ. დავიდის (ჩეხოსლოვაკია), ა. კვეინსონ-სეკის (განა), ფ. შენენბენის (ახალი ზელანდია), მ. ტარაბანოვის (ბულგარეთი), ი. ტურეს (გვინეა); მ. ფიკინის (ლიბია), ს. ჩიჩელის (კონგო დედაქალაქ ბრაზავილეთ), გ. ჯუპერის (ლიბერია), ა. პანჩჩის (ეთიოპია), ლ. სუმულონგის (ფილიპინები), ა. ხაფის ალემეიჭოუს (ეთიოპია), ფ. ვაჩუკუს (ნიგერია), კრიშნა მენონის (ინდოეთი), რ. როს (კუბა), ელმეკდი ბენ აბუდის (მაროკო), ზ. როსიდისის (კვიპროსი), უ. ბერნალის (კოლუმბია), აბდულ რახმან პეკეკაის (ლიბანი), ბ. ბეგეროვის (ავღანეთი), ბ. ბეგეროვის (ავღანეთი).

მოდის მომინანქრებული სადენი



სვეტლანა ცხოვრებოვმა დაზგის სახელური მოსწია, ყვითელი ფერის წვრილ მავთულს დააკვირდა.

— კარგია! — გადასძახა სვეტლანამ გვერდით მდგომ მეგობარს და დაზგა კვლავ აამოძრავა.

მანქანები განუწყვეტლივ გუგუნებენ. სვეტლანა ხან ერთ, ხან მეორე მავთულის ხვეულს გადახედავს და კიდევ და კიდევ ამოწმებს მომინანქრების ხარისხს. მას მთავარი როდი ავიწყდება, ღუმელი, რომელიც ლაქის აბაზანას ათბობს, განუწყვეტლივ უნდა მუშაობდეს, ხოლო აბაზანა დროდადრო იწმინდებოდეს. ოდნავი უყურადღებობა, და მავთულის ყალიბი მოწყდება. მას სადენი მაღლა, ღუმელში აიტაცებს, რამაც შეიძლება ღუმელში ხანძარი გამოიწვიოს.

— გეგმას 120-130 პროცენტით ვახრულებ, მაგრამ შრომა კიდევ უფრო ნაყოფიერი იქნებოდა, რომ მარაგში გვქონდეს შემცვლელი აბაზანები. მოხდა რამე აბაზანაში — მოხსენი და შემცვლელი დააყენე. მაშინ მის გაწმენდაზე დრო არ დაიკარგება, — დამაჯერებლად ლაპარაკობს სვეტლანა.

სტალინირის მომინანქრებული სადენების ქარხანაში სვეტლანას მრავალი „მეტოქე“ ჰყავს. ელექტრომრეწველობის ამ ახალი საწარმოს საამქროებში შრომის ავანგარდში ახალგაზრდობა დგას. დაზგებთან მარჯვედ ტრიალებენ ლუნია დოგუზოვა, ემა ვასილცევა და სხვები. კოლმეურნეობებიდან, სასწავლებლებიდან მოსულმა ჭაბუკებმა და გოგონებმა მალე აითვისეს ელექტროსადენის დაწვრილება და მომინანქრება. ქარხანა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა საწარმოებიდან იღებს 0,160-0,170 მილიმეტრი დიამეტრის ელექტროსადენებს. ქარხნის მთავარი ამოცანაა, რაც შეიძლება დაწვრილოს მიღებული სადენები. ზოგიერთ ხვეულს გაწელი და მავთულს თვალით ძლივს შეამჩნევ, იგი ადამიანის თმაზე უფრო წვრილია.

ასეთ მომინანქრებულ მავთულებზე დიდი მოთხოვნილებაა ელექტრომრეწველობაში, განსაკუთრებით რადიოტექნიკაში. ურთულესი, მეტად ზუსტი მანქანა-დანადგარები ასეთ მავთულს ადვილად აკეთებენ. მაგრამ საჭიროა მცოდნე, გამოცდილი ადამიანები. ასეთი სპეციალისტების მომზადებისათვის ქარხანაში წინასწარ იზრუნეს, ახალგაზრდები მიავლინეს სხვადასხვა მსხვილ საწარმოებში, სადაც მათ საჭირო ცოდნა და გამოცდილება შეიძინეს.

ქარხანას, როგორც ახალ საწარმოს, დიდი სიძნელეების გადალახვა უხდება. აკლიათ, მაგალითად, წუნდებული პროდუქციის ხელახალი გადასახვევი დაზგა, არის შემთხვევები, როცა ნახევარფაბრიკატი დროულად არ მოდის ქარხანაში მიმწოდებელი საწარმოს ან ტრანსპორტის მიზეზით. ქარხნის კოლექტივს ჯერ კიდევ არა აქვს სათანადო სამუშაო ფართობი, ქარხნის კორპუსების შენებლობა კი სამშენებელო ორგანიზაციების არადამაკმაყოფილებელი მუშაობის მიზეზით შეუწყნარებლად ჭიანურდება.

მიუხედავად ამ სიძნელეებისა, ქარხნის კოლექტივი კარგად ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას და გეგმებს გადაჭარბებით ასრულებს. მაგალითად, მესამე კვარტალის დავალება საერთო პროდუქციის გამოშვების დარგში საწარმომ 122,8 პროცენტით გაანაღდა.

ყოველდღიურად იტვირთება ავტომანქანები მომინანქრებული სადენების ხვეულებით. სტალინირის ქარხნის მარკის ლამაზი სადენები მიდის მოსკოვის, ლენინგრადის და სხვა ქალაქების საწარმოებში.

ი. თედიაშვილი.

* * *

სურათზე: სტალინირის მომინანქრებული სადენების ქარხნის მოწინავე მედაზგე სვეტლანა ცხოვრებოვი, რომელიც ყოველდღიურ დავალებებს 120-130 პროცენტით ასრულებს.

ფოტო მ. ალბოროვისა.

მას ძეგლი აუგია ხალხმა

გუშინ შუადღისას თბილისში, მთაწმინდის პანთეონში, ქართველი მოღვაწის, დიდი განმანათლებლისა და ქართული პედაგოგიკის ფუძემდებლის იაკობ გოგებაშვილის საფლავთან თავი მოიყარეს დედაქალაქის მშრომელებმა, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, ღვაწლმოსილმა ადამიანებმა, მეცნიერებმა, მწერლებმა, პედაგოგებმა, რუსეთისა და ჩეხოსლოვაკიის პედაგოგიკის მეცნიერების წარმომადგენლებმა, პრესისა და რადიოს მუშაკებმა.

გამოჩენილი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ი. გოგებაშვილის დაბადების 120 წლისთავთან დაკავშირებით მის საფლავზე აგებულია ძეგლი, რომელსაც თეთრი საბურველი აფარია.

ი. გოგებაშვილის ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილი მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. მელაძემ:

— მადლიერი ქართველი ხალხი, — ამბობს იგი, — დღეს ზეიმობს თავისი სახელოვანი შვილის, დიდი ქართველი პედაგოგი — კლასიკოსის, საბავშვო მწერლის, პუბლიცისტისა და დიდი მამულიშვილის იაკობ გოგებაშვილის დაბადების 120 წლისთავს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ი. გოგებაშვილის დაბადების 120 წლისთავის აღსანიშნავი თავადგილის საიუბილეო კომისიის თავმჯდომარე ზ. კვაჭაძე ძეგლს ხდის საბურველს. დამსწრეთა ტაშისცემაში გამოჩნდა დიდი პედაგოგის ბრინჯაოს ბიუსტი. ძეგლის კვარცხლბეკზე შავი მარმარილოსაგან გამოკვეთილია გადაშლილი წიგნი, რომლის მარცხენა გვერდზე აწერია: იაკობ გოგებაშვილი 1840, ხოლო მარჯვენაზე: დედა-ენა. 19[illegible] ძეგლის ავტორები არიან მოქანდაკე ქ. გრიგოლია და არქიტექტორი ვ. აბრამიშვილი.

სიტყვა ეძლევა მწერალ-აკადემიკოსს, სახალხო პოეტს გ. ლეონიძეს:

— დიდო ამაგდარო მასწავლებელო! ამბობს პოეტი, — შენ ბავშვობაშივე ჩაგვნერგე მშობელი მიწის სიყვარული; შენს ამაგს ორასოდეს არ დაივიწყებს მადლიერი ქართველი ერი.

ტრიბუნაზეა ჩეხოსლოვაკიის აკადემიის ი. კომენსკის სახელობის პედაგოგიკის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ი. ვახია. იგი ჩეხოსლოვაკიელი ხალხის სახელით მიესალმა საქართველოს მშრომელებს. ორატორმა აღნიშნა ის ღვაწლი, რომელიც მიუძღვის თავიანთი ხალხებისადმი ორ დიდ მეცნიერ-პედაგოგსა და მამულიშვილს: იან კომენსკისა და იაკობ გოგებაშვილს.

მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების სახელით პედაგოგიკის კათედრის გამგე გ. კიკნაძე, თბილისის პედაგოგების სახელით — პირველი საშუალო სკოლის პირველი კლასის მასწავლებელი ე. გუჯაბიძე, თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა სახელით—პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მე-4 კურსის სტუდენტი დ. ცანავა, ხოლო მოსწავლე ახალგაზრდობის სახელით — 47-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე გ. გოგიშვილი.

ლამაზად იყო მორთული გორი სტუმრების შესახვედრად. განსაკუთრებული გამოცოცხლება იგრძნობოდა დიდი განმანათლებლის იაკობ გოგებაშვილის მშობლიურ სოფელ ვარიანში. ეს გასაგებიც იყო: 23 ოქტომბერს ვარიანელები აღნიშნავდნენ თანასოფლელის — დიდი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის დაბადების 120 წლისთავს.

...შემოდგომის მზიანი დღეა. საქართველოს ყველა კუთხიდან დაძრულა ხალხი. საიუბილეო ზეიმზე ჩამოსულან მოსკოვის, მოძმე რესპუბლიკების პედაგოგიური საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

სტუმრები ვარიანში მიდიან ახალაშენებულ ფეტბუნელი გზით ავტომანქანებით, გზის ორივე მხარეს უყურებ „დედა ენის“ ფურცლების მაკეტებს და გრძნება შთაბეჭდილება თითქოს ფურცლავდე ამ მშვენიერ წიგნს. „ამთავრებ ფურცვლას“ და ვარიანში ხარ. აი გოგებაშვილის სახლ-მუზეუმიც. მის ეზოში წინადადებულად მხოლოდ წყაროები ჩუხჩუხებენ, სხვა კი სულ გამოცვლილი და გალამაზებულია. ამოდენა ხალხი კი წინათ არასოდეს არ ყოფილა აქ. გოგებაშვილის სახლ-მუზეუმის ოთახები სავსეა მნახველებით. ისინი მთელი გულისყურით ათვალიერებენ იქაურობას.

...დღის თორმეტი საათია.

იაკობ გოგებაშვილის დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილ მიტინგს მოკლე შესავალი სიტყვით ხსნის გორის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ... ...

საერთაშორისო
ჟურნალისტთა ფედერაციის
ცხოვრება

ჟურნალისტთა ფორუმი

ვენა, 23 ოქტომბერი. (საკდესი). ჟურნალისტთა მეორე მსოფლიო შეხვედრა, რომელიც 5 დღეს გაგრძელდა ბადენში ვენის მახლობლად, 22 ოქტომბერს დამთავრდა რეზოლუციის მიღებით საკითხებზე, რომელებიც შეხვედრის მონაწილეებმა გაანიხილეს, აგრეთვე გადაწყვეტილების მიღებით იმის შესახებ, რომ შეიქმნას ჟურნალისტთა სოლიდარობის საერთაშორისო კომიტეტი მსოფლიოს ყველა ქვეყნის პრესის მუშაკებს შორის კავშირურთიერთობის გაფართოებისა და განმტკიცების მიზნით.

შეხვედრის სამანდატო კომისიამ გამოაცხადა, რომ ჟურნალისტთა მეორე მსოფლიო შეხვედრაში მონაწილეობას იღებდა მსოფლიოს 62 ქვეყნის 279 წარმომადგენელი. ისინი წარმომადგენდნენ სოციალისტური, ნეიტრალისტური და კაპიტალისტური ქვეყნების პრესას. ფართოდ იყვნენ წარმოდგენილნი აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის სახელმწიფოები. შეხვედრის 197 მონაწილე წარმოადგენდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალისტთა 43 ორგანიზაციას. მისი სხვა მონაწილენი ბადენში ჩამოვიდნენ ინდივიდუალური წესით მსოფლიოს ყველა კონტინენტის ქვეყნებიდან, რათა გამოსულიყვნენ პრესის მუშაკთა ამ დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო ფორუმზე და თავიანთი წვლილი შეეტანათ ხალხებსა და სახელმწიფოებს შორის კულტურული თანამშრომლობისა და ურთიერთობის განმტკიცების საქმეში, თანამედროვე ჟურნალისტიკის პროფესიული და ეთიკური პრობლემების განხილვაში.

20, 21 და 22 ოქტომბერს შეხვედრის მონაწილენი მუშაობდნენ უმთავრესად კომისიებში, რომლებმაც შეიმუშავეს გადაწყვეტილებანი.

შეხვედრის მონაწილეებმა დიდი ინტუიციაზმით მიიღეს რეზოლუცია, ჟურნალისტის პროფესიული ეთიკის შესახებ. ამ რეზოლუციაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ბადენის მსოფლიო შეხვედრამ დაადასტურა მთელი მსოფლიოს ჟურნალისტთა მისწრაფება კიდეც უფრო მეტი ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობისადმი, ჟურნალისტთა საერთაშორისო სოლიდარობის განმტკიცებისადმი.

რეზოლუციაში სუსტადგანვითარებული ქვეყნების პრესისა და რადიოს პრობლემების შესახებ, კერძოდ, აღნიშნულია, რომ კოლონიალიზმისაგან ამ ცოტა ხნის წინათ განთავისუფლებული სახელმწიფოებისათვის ყოველმხრივი დახმარების გაწევა მათი ეროვნული პრესისა, რადიოს, ტელევიზიის, კინოსა და ინფორმაციის სხვა მასობრივ საშუალებათა განვითარებაში მსოფლიოს ყველა ქვეყნის ჟურნალისტთა მოვალეობაა. ისინი უნდა ხელს უწყობდნენ ამ ქვეყნების ჟურნალისტთა გაერთიანებებს, კავშირებსა და ასოციაციებს, რათა შეიძინონ საჭირო პოლიგრაფიული მოწყობილობა, უნდა დახმარებას უწევდნენ პრესის მუშაკთა კადრებისა და ტექნიკური პერსონალის მომზადებაში.

თავიანთი მუშაობის დასასრულს შეხვედრის მონაწილეებმა დეპეშები გაუგზავნეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვსა და ავსტრიის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეს ლ. ფიგლს, რომლებშიც მადლობას უძღვნიან მათგან მიღებული მისალმებებისათვის.

ჰამარშელდი სამსახურს უნევს კოლონიზატორებს

დამასკო, 22 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთმა „ან-ნასრმა“ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც მხილებულია დასავლეთის, და პირველ რიგში ბელგიისა და ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური წრეების ცდები — აღადგინონ კონგოს რესპუბლიკაში მდგომარეობა, რომელიც აქ იყო დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე. გაზეთი ხაზს უსვამს, რომ ყოველ საშუალებას მიმართავენ, რათა ბელგიელები დაბრუნონ კონგოში.

გენერალური მდივანი ორმაგი მისიით. ნახატი გაზეთ „ნოიეს დოიჩლანდიდან“.

ამ გეგმების განხორციელებაში, წერს გაზეთი, ფასდაუდებელ სამსახურს უწევს კოლონიზატორებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ჰამარშელდი. გაზეთი აღნიშნავს, რომ ჰამარშელდმა ბელგიის ხელისუფლებს ურჩია თავიანთ ჯარისკაცებს სამოქალაქო ტანსაცმელი ჩაეცვან. ეს, გენერალური მდივნის აზრით, გააადვილებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ამოცანებს კონგოში.

ამავე დროს ჰამარშელდი დათანხმდა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარებმა მიიღონ მონაწილეობა იმაში, რომ უზრუნველყოფილ იქნას კონგოში დაბრუნებულ ბელგიელთა უშიშროება.

ნიქსონი ჭრაბახობს, კენედი დასცინის

ნიუ-იორკი, 22 ოქტომბერი, (საკდესი). ამ უკანასკნელ დღეებში ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკურ და დემოკრატიულ პარტიებს შორის ნიანსაარჩევნო პოლემიკაში წინა პლანზე დგას საკითხი ამერიკის შეერთებული შტატების პრესტიჟისა საზღვარგარეთ. ვიცე-პრეზიდენტ ნიქსონის განცხადებამ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრესტიჟი მთელ მსოფლიოში ახლანდელსავით „ძალიან არასიღაეს არ ყოფილაო“, მკვეთრი კრიტიკა გამოიწვია დემოკრატიული პარტიის მხრივ და რესპუბლიკური პარტიის ზოგიერთი თვალსაჩინო მოღვაწის მხრივაც კი.

ეიზენჰაუერმა დაინახა, რომ ნიქსონის პოზიცია მეტყველი იყო და მაშინვე დაუჭირა მხარი თვალსაზრისს საზღვარგარეთ ამერიკის შეერთებული შტატების პრესტიჟის საკითხზე.

20 ოქტომბერს სან-ფრანცისკოში პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა სცადა გაებათილებინა დემოკრატიული პარტიის ბრალდება იმის შესახებ, რომ შეერთებული შტატების პრესტიჟი უკანასკნელ წლებში დაეცა. როცა გისმენთ, განაცხადა ეიზენჰაუერმა, რომ ზოგიერთი „შეცდომაში შეყვანილი ადამიანი მოთქვამს იმის გამო, „რომ ჩვენი პრესტიჟი ახლანდელსავით დაცემული წინათ არასოდეს არ ყოფილაო, უნდა ვაღიაროთ, რომ ეს პირდაპირ ჭეშმარიტების დამახინჯებაა“.

მაგრამ, როცა ეიზენჰაუერი ამ განცხადებას აკეთებდა დასავლეთ სანაპიროზე, რესპუბლიკელმა სენატორმა ჯავიტსმა (ნიუ-იორკის შტატი) ნიუ-იორკში გამართულ მიტინგზე სულ საწინააღმდეგო განაცხადა. ვინც რას უნდა ამბობდეს, თქვა ჯავიტსმა, შეერთებული შტატების პრესტიჟი დაეცა მთელ მსოფლიოში და სისულელე იქნება გამტკიცოთ ამის საწინააღმდეგო.

პრეზიდენტობის ყოფილმა კანდიდატმა დემოკრატიული პარტიისაგან ედლაი სტივენსონმა სიტყვა წარმოთქვა ფილადელფიაში და სასაცილოდ აიღო ვიცე-პრეზიდენტ ნიქსონის მტკიცება. სტივენსონმა განაცხადა, ნიქსონი „მოჩვენებითს სამყაროში“ ცხოვრობსო.

ნიუ-იორკი, 21 ოქტომბერი. (საკდესი). როცა მოსახლეობას მოუწოდა აირჩიოს რესპუბლიკური მთავრობა, ვიცე-პრეზიდენტმა ნიქსონმა განაცხადა, „ამერიკის პრესტიჟი საზღვარგარეთ ახლა უფრო მაღალია, ვიდრე ოდესმეო“. ამ განცხადების შესახებ გაზეთ „ვაშინგტონ პოსტ ენდ ტაიმს ჰერალდის“ კორესპონდენტი უორენი წერს: „საზოგადოებრივ აზრის გამოკითხვა და გამოკვლევები უცხო სახელმწიფოებში, რაც ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტომ მოაწყო ამ უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში, დამაჯერებლად გვიჩვენებენ, რომ შეერთებული შტატების პრესტიჟი დაეცა მას შემდეგ, რაც 1957 წლის ოქტომბერში საბჭოთა კავშირმა გაუშვა პირველი თანამგზავრი. ეს სრულიად უეჭველია.

ასეთია დასკვნები მაღალი თანამდებობის წარმომადგენელთა საიდუმლო ჯგუფისა, რომელიც პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა შარშან 2 დეკემბერს დანიშნა და რომელსაც ეწოდება „პრეზიდენტის კომიტეტი ამერიკის შეერთებული შტატების საზღვარგარეთ საინფორმაციო საქმიანობის საკითხთა დარგში“.

კომიტეტის ერთმა წარმომადგენელმა, წერს უორენი, განაცხადა, რომ გამოკითხვა მოეწყო რამდენიმე ქვეყანაში, და კერძოდ საბერძნეთში, იაპონიაში, დასავლეთ გერმანიაში და ფილიპინებში.

კომიტეტის ბევრ წევრს, ამბობს უორენი, მიაჩნია, რომ გამოკითხვის შედეგები „საშინელია ამერიკის შეერთებული შტატების პრესტიჟისათვის“.

ნიქსონის ტრაბახა განცხადების საწინააღმდეგოდ, ხაზგასმით აღნიშნავს უორენი, კენედი ძალიან ახლოს იყო ჭეშმარიტებასთან, როდესაც ნიქსონთან დისკუსიის დროს, რაც გადაცემული იყო ტელევიზიით, თქვა: „თებერვალში გალუპის ინსტიტუტმა ათ ქვეყანაში მოაწყო გამოკითხვა იმ თემაზე, თუ მათი აზრით რომელი ქვეყანა იქნება პირველი 1970 წელს მეცნიერული და სამხედრო თვალსაზრისით. ყოველ ქვეყანაში უმრავლესობამ, გარდა საბერძნეთისა, უპასუხა, რომ 1970 წელს ასეთი ქვეყანა იქნება საბჭოთა კავშირი“.



ცოტა არ იყოს გაჭირვებაში ვარდებიან პრეზიდენტის სავარძლის პრეტენდენტები ნიქსონი (მარცხნივ) და კენედი (მარჯვნივ) სატელევიზიო დისკუსიების დროს: მათ ხომ შავი თეთრად უნდა გაასალონ.

• • •

„მათ (ე. ი. კომუნისტებმა. — რედ.), — ნათქვამია გამოქვეყნებულ სტენოგრამაში, — დიდი წარმატება მოიპოვეს რაკეტების დარგში და 1961, 1962, 1963 წლებში ისინი ჩვენზე წინ იქნებიან რაკეტების რაოდენობით. მე არც იმდენად ძალერა, როგორც მას (ე. ი. ნიქსონს. — რედ.), რომ ჩვენ ყველაზე ძლიერი სამხედრო სახელმწიფო ვიქნებით 1963 წელს“. კენედიმ შემდეგ გაიხსენა, რომ „ამა წლის უკანასკნელ ცხრა თვეში ჩვენ ვხედავთ, რომ მცირდება ეკონომიური ზრდის (ამერიკის შეერთებული შტატების. — რედ.) ტემპი. უფრო მეტიც, ამ ცხრა თვეში ჩვენი ეკონომიური ზრდის ტემპი ყველაზე მცირე იყო მსოფლიოს ყველა დიდ ინდუსტრიულ ქვეყანას შორის.

ფაქტი ასეთია, რომ სახელმწიფო დეპარტამენტის კამკითხვა ჩვენი პრესტიჟისა და გავლენის შესახებ მთელ მსოფლიოში ისეთ მნიშვნელოვან დაცემას მოწმობს, რომ სახელმწიფო დეპარტამენტს დღემდე არ სურს გამოაქვეყნოს ეს მონაცემები“.

„მე არ გეფიქრობ, — ხაზი გაუსვა კენედიმ, — რომ რეგოლუციურ ცვლილებათა ახლანდელ დროს ჩვენს მთავრობას შეგნებული ჰქონდეს, რომ მსოფლიო იცვლება და მზარს უჭერდეს ამ ცვლილებებს“.

მთელი დისკუსიის მანძილზე კენედი რესპუბლიკური პარტიის მთავრობას აკიცხავდა ძასტხისმგებლობას ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ჩავარდნებისათვის და პირობას იძლეოდა, რომ თუ ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა დემოკრატიული პარტია, ამერიკის შეერთებული შტატები „შეძლებენ აღადგინონ თავიანთი მდგომარეობა მსოფლიოში“. „ჩვენ ვეღარ მივცემთ თავს იმის ნებას, რომ მეორე ადგილი გვეკავოს“, — განაცხადა კენედიმ.

ჰავანა, 23 ოქტომბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების ჰავანის საელჩომ 21 ოქტომბერს კუბის საგარეო საქმეთა მინისტრს გაუგზავნა ნოტა, რომელშიც, იმოწმებს რა მის მიერ მიღებულ „ინფორმაციას“, ამტკიცებს, თითქოს კუბის თვითმფრინავებს, რომლებიც ჰავანის პროვინციის ერთ-ერთ აეროდრომზეა, ფუნჯელაქებზე გამოხატული აქვთ ამერიკის შეერთებული შტატების ალამი.

22 ოქტომბერს დილით კუბის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის ამასრულებელმა — კალოს ოლივარსმა ამერიკის შეერთებული შტატების ჰავანელ ელჩს გაუგზავნა საპასუხო ნოტა, რომელშიც კუბის რევოლუციური მთავრობის სახელით უაღრესად მტკიცე და მრისხანე პროტესტს აცხადებს ცილისწამების წინააღმდეგ, რასაც ამერიკის ნოტა შეიცავს, ამერიკის ნოტის ყალბ მტკიცებათა მიზანი, აღნიშნულია კუბის ნოტაში, ის არის, რომ შესაბამის მომენტში დაამტკიცონ, რომ კუბის წინააღმდეგ შეიარაღებულ აგრესიასთან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას არავითარი დამოკიდებულება არა აქვსო, თუმცა ნამდვილად აგრესია ამ მთავრობამ მოამზადა; ამერიკის ნოტა ისახავს მიზანს დაამტკიცოს, რომ კუბისა და აგრესიული თავდასხმებისათვის გამზადებული ამერიკის თვითმფრინავები, რომლებსაც ამერიკის საცნობი ნიშნები აქვთ და რომლებიც გვატემალაში და ფლორიდის ნაპირებზე არიან, თითქოს კუბის თვითმფრინავები იყვნენ, რომლებზეც თითქოს გამოუსახავთ ამერიკის ალმები იმ მიზნით, რომ შეარყიონ ამერიკის შეერთებული შტატების რეპუტაცია და ბრალად დასდონ მათ კუბის წინააღმდეგ შეიარაღებული აგრესიის ხელმძღვანელობა და დაფინანსება და ამ აგრესიაში თანამონაწილეობა.

ნოტაში მხილებულია ამერიკის შეერთებული შტატების ეს ახალი პროვოკაციული მანევრი, რომელმაც გულისწყრომა გამოიწვია მთელ კუბელ ხალხში.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲪᲘᲐ ᲙᲣᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲔᲓᲔᲒ

პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 22 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ პოლიტიკური კომიტეტის ღამის სხდომაზე, რომელიც განიარაღების საკითხს განიხილავს, გამოვიდა ერთი ორატორი — იტალიის დელეგაციის მეთაური გაეტანო მარტინო. მან დაიცვა დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიცია განიარაღებისა და კონტროლის საკითხში და ამტკიცებდა, რომ განიარაღების სპეციფიკურ ღონისძიებებზე პოლიტიკური შეთანხმების ხელმოწერა თითქოს არ გამოიწვევს შეიარაღების ეფექტიან შემცირებას, სანამ რაღაც ტექნიკური ორგანონ არ განსაზღვრავს, თუ რა კონკრეტული ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს.

მარტინო იცავდა ინგლისის, იტალიისა და ამერიკის შეერთებული შტატების ბრალდებას, რომ ჟურნალისტთა მეორე მსოფლიო შეხვედრაში მონაწილეობას იღებდა მსოფლიოს 62 ქვეყნის 279 წარმომადგენელი. ისინი წარმომადგენდნენ სოციალისტური, ნეიტრალისტური და კაპიტალისტური ქვეყნების პრესას. ფართოდ იყვნენ წარმოდგენილნი აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის სახელმწიფოები. შეხვედრის 197 მონაწილე წარმოადგენდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალისტთა 43 ორგანიზაციას. მისი სხვა მონაწილენი ბადენში ჩამოვიდნენ ინდივიდუალური წესით მსოფლიოს ყველა კონტინენტის ქვეყნებიდან, რათა გამოსულიყვნენ პრესის მუშაკთა ამ დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო ფორუმზე და თავიანთი წვლილი შეეტანათ ხალხებსა და სახელმწიფოებს შორის კულტურული თანამშრომლობისა და ურთიერთობის განმტკიცების საქმეში, თანამედროვე ჟურნალისტიკის პროფესიული და ეთიკური პრობლემების განხილვაში.

20, 21 და 22 ოქტომბერს შეხვედრის მონაწილენი მუშაობდნენ უმთავრესად კომისიებში, რომლებმაც შეიმუშავეს გადაწყვეტილებანი.

შეხვედრის მონაწილეებმა დიდი ინტუიციზმით მიიღეს რეზოლუცია, ჟურნალისტის პროფესიული ეთიკის შესახებ. ამ რეზოლუციაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ბადენის მსოფლიო შეხვედრამ დაადასტურა მთელი მსოფლიოს ჟურნალისტთა მისწრაფება კიდეც უფრო მეტი ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობისადმი, ჟურნალისტთა საერთაშორისო სოლიდარობის განმტკიცებისადმი.

რეზოლუციაში სუსტადგანვითარებული ქვეყნების პრესისა და რადიოს პრობლემების შესახებ, კერძოდ, აღნიშნულია, რომ კოლონიალიზმისაგან ამ ცოტა ხნის წინათ განთავისუფლებული სახელმწიფოებისათვის ყოველმხრივი დახმარების გაწევა მათი ეროვნული პრესისა, რადიოს, ტელევიზიის, კინოსა და ინფორმაციის სხვა მასობრივ საშუალებათა განვითარებაში მსოფლიოს ყველა ქვეყნის ჟურნალისტთა მოვალეობაა. ისინი უნდა ხელს უწყობდნენ ამ ქვეყნების ჟურნალისტთა გაერთიანებებს, კავშირებსა და ასოციაციებს, რათა შეიძინონ საჭირო პოლიგრაფიული მოწყობილობა, უნდა დახმარებას უწევდნენ პრესის მუშაკთა კადრებისა და ტექნიკური პერსონალის მომზადებაში.

თავიანთი მუშაობის დასასრულს შეხვედრის მონაწილეებმა დეპეშები გაუგზავნეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვსა და ავსტრიის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეს ლ. ფიგლს, რომლებშიც მადლობას უძღვნიან მათგან მიღებული მისალმებებისათვის.

მდგომარეობა კონგოში

ნიუ-იორკი, 23 ოქტომბერი. (საკდესი). ამერიკის საინფორმაციო სააგენტოს კორესპონდენტები ლეოპოლდვილიდან გამოგზავნილ ცნობებში იძულებული აირიან აღიარონ, რომ მობუტუს ხროვა კარის პირას იმყოფება.

ბელგიისა და ამერიკის მონოპოლიების ამ აგენტის პოზიციები სულ უფრო მერყევი ხდება, მიუხედავად მძლავრი ფინანსური დახმარებისა, რომელსაც იგი აღებს დასავლეთის სახელმწიფოების დიპლომატიურ წარმომადგენლობათაგან და კათოლიკურ მისიათაგან და მიუხედავად იმისა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების სარდლობა ხელს უწყობს მის ოინებს პატრის ლუმუმბას კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ.

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ლეოპოლდვილელი კორესპონდენტი აღნიშნავს, „პარლამენტის უმრავლესობა კვლავ ლუმუმბას მომხრეა... პროდასავლეთური დაჯგუფება, რომელიც ლუმუმბას გაძევებას ცდილობდა, სწრაფად დნება. მობუტუს ძალლონე გამოაცალა ყველა მხრიდან ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლამ და არმიაში აჯანყებამ“.

კორესპონდენტის სიტყვით, „ამ პირობებში პრემიერ-მინისტრ ლუმუმბას ხელისუფლების აღდგენა მხოლოდ დროის საკითხია“. ხოლო მობუტუს მომავალი გაგზავრება ამერიკის შეერთებულ შტატებში, ბელგიასა და საფრანგეთში ვერ დაეხმარება მას სამხედრო დიქტატურა დაამყაროს კონგოში.

კოლონიზატორებმა დაკარგეს იმის რწმენა, რომ მობუტუს ძალუძს დაამყაროს კონტროლი მთელი არმიისადმი, რათა გამოიყენოს იგი კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ. მაგრამ მაინც არ წყვეტენ თავიანთ ოინებს. სცენაზე გამოდის ახალი აგენტის — ტისვილის ჯავშანსატანკო ბრიგადის მეთაურის პოდპოლკოვნიკ ბობოსოს ფიგურა. იგი მობუტუ თავის შემცველად „დანიშნა“ განზრახული მოგზაურობის დროისათვის. როგორც ასოშიეიტედ პრესი იუწყება, ეგრეთწოდებული „გენერალური კომისრების საბჭოს“ წევრებმა, რომელიც უკანონოდ შექმნა მობუტუმ და რომელიც ცდილობს ხელისუფლების უზურპაციას, გამოთქვეს იმედი, რომ „ბობოსო, რომელიც მობუტუსთან შედარებით გაბედული ადამიანია, გამოიწვევს ჯავშანსატანკო ბრიგადას ლეოპოლდვილში, ბოლოს მოუღებს მღელვარებას მობუტუს ჯარისკაცებს შორის“ და მიაღწევს ლუმუმბას მთავრობის დამხობას.

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲛᲝᲛᲮᲘᲚᲕᲐ

△ მძლავრი მოწოდება მშვიდობისათვის საბრძოლველად. △ ახალი დრეება მოითხოვს ახალ ფესვრიბს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. △ კოლონიალიზმი და მილიტარიზმი — ისტორიის სანაგველაზე

საერთაშორისო მდგომარეობის ღრმა ანალიზი, რომელიც ნ. ს. ხრუშჩოვმა 20 ოქტომბერს მოსკოვის მშრომელთა მიტინგზე სიტყვაში გააკეთა, ჩვენი დროის უმნიშვნელოვანეს საგარეო-პოლიტიკურ მოვლენათა გაგების გასაღებია. ამ სიტყვაში ნაჩვენებია, თუ რა მკვეთრად შეიცვალა მსოფლიო უკანასკნელ მეოთხედ საუკუნეში, რა კოლოსალურად გაიზარდა საბჭოთა კავშირისა და მთელი სოციალისტური ბანაკის გავლენა თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობის განვითარებაზე.

უცხოეთის ბევრი გაზეთი, ისწრაფვის რა თავის მკითხველებს მისცეს წარმოდგენა იმ მუშაობის მნიშვნელობის შესახებ, რომელიც საბჭოთა მთავრობის მეთაურმა შესასრულა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე, მისი სიტყვის ზემოქმედების ძალას ადარებენ ბუნების ისეთ მოვლენებს, როგორიც არის ქარიშხალი და გრიგალი, მიწისძვრა. ნ. ს. ხრუშჩოვმა, აღნიშნა ლონდონის „სანდეი ტაიმსმა“, „კარგად შეარყია გაერთიანებული ერების ორგანიზაცია“. დაუჯერებლად გვეჩვენება, — წერდა ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნაში“, — რომ ერთმა კაცმა რამდენიმე გამოსვლით შეძლო გამოეწვია ასეთი მიწისძვრა“. ფრანგული გაზეთი „პარიარეს-ენერანსიიანი“ ამ დღეებში წერდა: „ხრუშჩოვის მსგავსი ადამიანი არის რაღაც ახალი, უძაგლეთო, ძლიერი ასამბლეის სხდომაზე, რომელიც ჩიეჩვია მოეხმინა იმ ადამიანთა მოსაწყენი სიტყვები, რომლებიც ლაპარაკობენ არა იმას, რასაც ფიქრობენ“.

საბჭოთა დელეგაციის საქმიანობამ სესიაზე, როგორც ცნობილია, გამოიწვია ჩრდილოეთ ატლანტიკის სამხედრო-ბლოკის მესვეურთა ცუდად დაფარული ნერვიულობა და მღელვარება. როცა საბჭოთა დელეგაციის მეთაური ნიუ-იორკს ტოვებდა, ამერიკის დელეგატმა უოდსვორტმა შვებით ამოისუნთქა და განაცხადა: „შეიძლება ჭეშ-ქუხილი შეწყდეს“. მაგრამ უფრო შორსმჭვრეტელი აღმოჩნდა „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის“ მიმმხილველი ლოურენსი, რომელიც იმპერიალისტებს აფრთხილებდა, რომ ადრეა დამშვიდება. „ბოლო ჭერ კიდევ არა ჩანს“, — შეშფოთებით წერდა ლოურენსი.

სულ რამდენიმე დღე გავიდა, და მთელ მსოფლიოში კვლავ გაისმა მძლავრი, გრგვინვისებური მოწოდება მშვიდობისათვის, პროგრესისათვის კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის საბრძოლველად.

უცხოეთის ბევრ გამოხმაურებაში ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვაზე ხაზგასმით აღნიშნულია, რომ იგი გამსჭვალულია ღრმა რწმენით ერთადერთი გონივრული კურსის — მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის გამარჯვებისადმი ცივი ომის გაღვივების აბსურდულ გეგმებზე ამერიკის მტრულად განწყობილი პრესაც კი ყურადღებას აქცევს საბჭოთა მთავრობის მეთაურის სიტყვის დამშვიდებულ, დარწმუნებულ ტონს. იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგენტოს კორესპონდენტი კორენგოლდი გამოყოფს ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვებს, რომ მხოლოდ ავანტიურისტებს შეუძლიათ იფიქრონ, თითქოს შეიძლება მივაღწიოთ სოციალური სისტემის შეცვლას სახელმწიფოთა შორის ომის გაჩაღებით. „საბჭოთა მთავრობის მეთაური დარწმუნებულია, აღნიშნავს ფრანს პრესის საგენტო, რომ მან კვლავ დასვა მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე მთავარი საერთაშორისო პრობლემების მთელი კომპლექსი, რომლის გადაჭრა ცოტათ თუ ბევრად უახლოეს დროში მას გარდუვალი ეჩვენება. თითქმის 100 სახელმწიფოს წარმომადგენლებთან პირდაპირი კონტაქტის შემდეგ მას მიაჩნია, რომ უფლება აქვს განაცხადოს უფრო მეტი სიმტკიცით, ვიდრე ოდესმე, რომ წამს ძალთა თანაფარდობის შეცვლა მარქსისტულ-ლენინური თეორიის მიმდევართა სასარგებლოდ“.

საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ამომწურავი სიცხადით გვიჩვენა, რომ მსოფლიოში მიმხდარი ძირეული ცვლილებანი მტკიცედ მოითხოვენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საფუძვლიან გარდაქმნას ამ ისტორიულ ცვლილებათა შესაბამისად.

ᲖᲔᲓᲠᲛᲐ ᲧᲕᲐᲚᲛᲐ ᲩᲐᲘᲐᲠᲐ ᲐᲛ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲘᲜᲢᲘᲡ ᲛᲓᲔᲚᲐᲠᲔᲑᲔᲨᲘ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲪᲓᲔᲚᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲨᲔᲔᲒᲣᲤᲝᲗ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲡᲠᲜᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲛᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲜᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲛᲔᲠᲛᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲜᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲓᲐᲛᲐᲡᲐᲚᲘᲗᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲠᲓᲚᲝᲑᲐ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲜᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲛᲔᲠᲛᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲜᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲘ ᲡᲐᲠᲓᲘᲜᲘᲐᲨᲘ

რომი, 22 ოქტომბერი. (საკდესი). იტალიის პრესა იუწყება, რომ სარდინიაში ჩავიდნენ დასავლეთ გერმანიის ჯარების პირველი ქვეგანაყოფები, რომლებმაც უნდა მეცავლონ ამერიკის, ინგლისისა და კანადის პერსონალი დეჩიმოპუნის ნატოს სამხედრო ბაზაში. კალიარიში ინგლისისა და ამერიკის გემებიდან უკვე დადასტეს ბენდეს-ეკერის 500-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი. მიღებულია აგრეთვე დასავლეთ გერმანიის სამხედრო ავიაციის 40 რეაქტიული თვითმფრინავი, და მფრინავები შეუდგნენ საწვრთნელ ფრენას.

ბუნდესვერის ჯარისკაცთა გადასხმა, წერენ გაზეთები, თითქოს მალულად ხდება იმ მიზნით, რომ არ მიიპყრონ საზოგადოებრიობის ყურადღება და არ გამოიწვიონ პროტესტი იმის გამო, რომ ოსახლეობა მტრულად ეკიდება კუნძულის მილიტარიზაციას. გაზეთი „პაეზე“ იუწყება, თუ რა „სიფრთხილის“ ღონისძიებანი განახორციელა დასავლეთ გერმანიის ქვეგანყოფთა სარდლობამ, რათა თავიდან აეცილებინა ინციდენტები ჯარისკაცებსა და კუნძულის მოსახლეობას შორის. დასავლეთ გერმანიის არმიის სამხედრო მოსამსახურეებს ნაბრძანები აქვთ არ გამოკიდნენ ქალაქების ქუჩებში სამხედრო ფორმით და არ მისცენ ნება გაზეთების რეპორტიორებს გადაიღონ მათი სურათი.

„გერმანიის ჯარების ჩასვლა, — წერს გაზეთი „უნიტა“, — იმის ნიშანია, რომ სურთ რადაც უნდა დაუჯდეთ, სარდინია გადააქციონ „ხმელთაშუა ზღვისპირეთის მუდმივ ავიამზიდად“. გაზეთი ხაზს უსვამს, რომ „სარდინიაში უცხოეთის სამხედრო ბაზების არსებობა სერიოზულ საფრთხეს უქმნის მშვიდობას“.

ᲙᲣᲑᲐᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔ ᲓᲐᲘᲛᲣᲥᲠᲐ. ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲐᲨᲝ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲛᲝᲐᲥᲕᲡ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲡᲤᲔᲠᲝᲓᲐᲜ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲒᲠᲔᲡᲝᲠᲔᲑᲘ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲐᲨᲘᲜᲔᲑᲔᲜ ᲙᲣᲑᲔᲚ ᲮᲐᲚᲮᲡ, ᲙᲕᲚᲐᲕ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲐᲩᲘᲥᲔᲑᲔᲜ ᲛᲐᲡᲚ ᲨᲔᲮᲔᲓᲔᲗ ᲐᲛ ᲤᲝᲢᲝᲡᲣᲠᲐᲗᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲒᲠᲔᲡᲝᲠᲔᲑᲘ ᲓᲐᲐᲩᲘᲥᲔᲑᲔᲜ ᲙᲣ

მათ შესახებ, ვინც მოლიპული გზით მიდის

უმაღლესი ცოდნა... ათ წუთში?!

— გივიკო, თუ ძმა ხარ, ერთი სასმისიც დაცალე, — მუდარით მიუბრუნდა ვახტანგ ბეჟანიძე მეგობარს, ფეხზე წამოდგა, წაბარბაცდა, პურმარილით სავსე მაგიდა შეაჯღრია, მაპატიეთო, წაილუღლუღა. თამადამ მორიგი სადღეგრძელო რიხით დაიწყო:

— ამ პატარა ჭიქით მინდა დღეგრძელობა ვუსურვო ცოდნის წყაროს, გაჭირვების ტალკვეს ვალოდია დავითასძე იშხანოვს, ვაშა! — შესძახა და ქინძმარაულით სავსე თლილი მაღალი სასმისი დაცალა, ძირში აკოცა: ასე მტერი დაგეცალოსო.

ბეჟანიძე ბოლო სიტყვებმა გამოაფხიზლა, გვერდში მჯდომს წასჩურჩულა.

— გივი, ეგ ის ოქროსხელიანი ბიჭია, დილით რომ შემპირდი გაგაცნობო?

მეგობარმა თავის დაქნევით მისცა დასტური.

ბეჟანიძემ მაგიდაზე ხელი დაკრა:

— ოფიციანტ! ათი ბოთლი ქინძმარაული, ორი წიწილა, ხუთი მწვადი... ჩქარა!...

რესტორან „თბილისში“ ძმაბიჭების ჭეიფი მალე უმაღლესი ცოდნის „მიღების“ საკითხებზე თათბირად გადაიქცა. ერთი ამბობდა, ათას მანეთზე ნაკლებად არ შეიძლებაო, მეორე უმტკიცებდა ძვირია, ჩვენი ბიჭიაო, მესამემ მოჭრით თქვა: რაც ჯიბეში ჰქონდეს, დაალაგოსო. მართლაც, ვ. ბეჟანიძემ ჯიბეები მოიქექა, 750 მანეთი მონახა, სუფრაზე დააწყო. მეტი არა მაქვსო, თქვა. ბათუმელმა კოოპვაჭრობის თანამშრომელმა ვ. ბეჟანიძემ მეგობრების დახმარებით უმაღლესი სასწავლებლის მთლიანი კურსი ერთ სუფრაზე დაამთავრა... მეერდში მაგრად ჩაიხუტა დიპლომი № 79858, რომლითაც დასტურდება, რომ ის, ესე იგი ვ. ი. ბეჟანიძე 1948 წელს შევიდა და 1953 წელს დაამთავრა საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სრული კურსი სუბტროპიკული მეურნეობის სპეციალობით და 1953 წლის 28 ივნისს სახელმწიფო საგამოცდო კომისიის დადგენილებით მიეკუთვნა სწავლული აგრონომის სპეციალობა.

— რა ალმაცერად მიყურებთ, არა ვარ ღირსი დიპლომისა, თუ? — ამაყად გადახედა ვახტანგმა მეგობრებს.

— შენთვის ზედ გამოჭრილია: სუბტროპიკები, ბათუმის ლამაზი სანაპირო, სწავლული აგრონომი, თანაც... ეროკვაჭრობა! — თქვა ვალოდია იშხანოვმა და თავი მაღლა ასწია: შემომხედეთ, რა სახსწაულმოქმედი, რა ვაჟკაცი ვარ, რა ცოდნის დოკუმენტი მოგეცოო.

მკითხველმა არ იფიქროს, რომ ვ. იშხანოვმა თავისთვისაც ამ გზით იშოვნა დიპლომი. მას დამთავრებული აქვს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი სოფლის მეურნეობის წარმოების პროცესების სპეციალიზაციის ხაზით, ინჟინერ-მექანიკოსია. მუშაობდა საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მთავარტექმომარაგების უფროს საქმისწარმოებლად. (სპეციალობის შეხამებაც ამას ჰქვია!).

ვ. იშხანოვი რესტორანიდან სახლში დაბრუნებისთანავე ახალი დოკუმენტების დამუშავება-დამზადებას შეუდგა.

მან ეთერი ივანეს-ასულ არეშიძეს, რომელიც 1957 წელს პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტიდან გარიცხეს აკადემიური ჩამორჩენილობისათვის, გაუმზადა და 2.000 მანეთად მიჰყიდა დიპლომი №384561, რომელიც ადასტურებს, რომ ე. ი. არეშიძემ ნამდვილად დაასრულა პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სრული კურსი სპეციალობით — რუსული ენა და ლიტერატურა და მიენიჭა საშუალო სკოლის მასწავლებლის წოდება!

ხელმრუდობაში, ქურდობაში დახელოვნებულ დავით იასონის-ძე გაგოშიძეს ვ. იშხანოვმა ჩაბარა დიპლომი №557261, რომელიც იტყობინება, რომ დ. ი. გაგოშიძემ წარმატებით დაასრულა „საკავშირო დაუსწრებელი ვაჭრობის ინსტიტუტი.“

დიპლომის საფასური?

— ორი ათასი მანეთი. განა ბევრია?,— გაოცებით ამბობს იშხანოვი.

უკნარები უოფლოდ, უშრომლად ფიქრობდნენ უმაღლესი ცოდნის მიღებას, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ცარიელი, ყალბი ქაღალდის მკერდში ჩახუტება სამარცხვინო და დამღუპველი აღმოჩნდა.

იშხანოვის ნაკვალევზე მოისურვეს სიარული სულიკო მიხეილის-ძე გოიევმა (მიჩურინის შესახვევი № 2) და მისმა ძმაკაცმა მუხტარ გოიევმა (ნავთლუღის მეორე შესახვევი № 3).

მათ ზურგი აქციეს პატიოსან შრომას და იშხანოვის თაღლითობის გამოცდილებას გულმოდგინედ დაეუფლნენ, მაგრამ დიპლომების გაცემა ითაკილეს და ხელი მიჰყვეს ავტომანქანების მძღოლთა ყალბი მოწმობების დამზადებას. მაგალითად, აქსტაფელ მამედ ალიევსა და იმრაი იბრაგიმოვს სამ-სამ ათას მანეთად მესამე კლასის შოფრის მოწმობები ჩააბარეს.

ვინ მოსთვლის, მუქთახორებმა სულიკო და მუხტარ გოიევებმა რამდენ ახალგაზრდას, ავტომძღოლს აუბნიეს გზაკვალი...

მაგრამ, როგორც იტყვიან, „კოკა წყალს მუდამ ვერ მოიტანს“, თბილისის ოქტომბრის რაიონის მილიციის მუშაკებმა ყალბისმქმნელთა კვალს მიაგნეს, ჩვენი საზოგადოების ხორცმეტები, იოლი შემოსავლის მოყვარული თაღლითები მალე „დამსახურებისამებრ“ საკადრის პასუხს მიიღებენ.

ვ. დოლიძე,
კ. სხვაველი.

მუსიკალურ სამყაროში

მთელ ქართველ შემოქმედებითი ინტელიგენციასთან ერთად ქართველი კომპოზიტორები დიდი შეწუხებითა და აღმფოთებით ეხებიან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების 40 წლისთავს; შეიქმნა საუთრადღებო ნაწარმოებები სხვადასხვა მუსიკალურ ჟანრში.

საოპერო ხელოვნების მოყვარულთათვის კარგი საჩუქარი იქნება ახალი ქართული ოპერების მოსმენა. ესენია შ. მშველიძის „დიდოსტატის მარჯვენა“ (კ. გამსახურდიას ცნობილი ისტორიული რომანის მიხედვით), ო. თაქთაქიშვილის „მინდია“ (ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა მოტივებზე), აგრეთვე თანამედროვე თემაზე დაწერილი ოპერები — ი. გეჯაძის „პირველთა ოპერა“ და კ. ანდრიაშვილის „ზავი“ (ვ. მრევლიშვილის დრამის მიხედვით). დიდ ინტერესს იწვევს ს. ცინცაძის ბალეტი „დემონი“, რომელსაც დადგამს სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. ჭაბუკიანი.

სხვა ჟანრების ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია: ა. ბალანჩივაძის საფორტეპიანო კონცერტი „საქართველოს ხუთათები“, ა. შავერზაშვილის კანტატა „საშშობლოს დილა“, ო. გორდელის ვოკალურ-სიმფონიური პოემა, გ. კოკელაძის კანტატა, ნ. გუდიაშვილის კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის „საშშობლოს ველებზე“. ბ. კვერნაძის სიმფონია, ო. თევდორაძის საზეიმო უვერტიურა და სხვა ნაწარმოებები.

• • •

სურათზე: საქართველოს კომპოზიტორთა კავშირში უსმენენ ა. შავერზაშვილის კანტატა „საშშობლოს დილას“ ერთ-ერთ ფრაგმენტს.

ფოტო ბ. დადვაძისა.

მაგილისელები ნახავენ, მოისმენენ...

თბილისს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი მიმდინარე სეზონში საინტერესო გასტროლიორებს წარუდგენს ჩვენი დიდ დაქალაქის მუსიკის მოყვარულთ.

25 ოქტომბერს ოპერა „ტრავიატა“ ვიოლეტას პარტიას შესასრულებს ცნობილი რუმინელი მსახიობი ლივია ლისნუ. ეს მსახიობი ბუქარესტისა და კლუჟის საოპერო თეატრების პრემიერია, აქვს ლამაზი კოლორატურული სოპრანო. შეტმოფილი ფესტივალზე მოსკოვში მან პირველი ადგილი დაიკავა და ლაურეატის წოდება მიიღო. მსახიობი ამავე დროს რუმინეთის ერთ-ერთი სუკეთესო კონცერტანტია. ლ. ლისიანუს გასტროლებმა ევროპის ქვეყნებში დიდი წარმატებით ჩაიარა. ვიოლეტას პარტიას გარდა, მსახიობი შეასრულებს ავრეთვე ჟიულიას პარტიას ოპერა „რიგოლეტოში“ და როზინას პარტიას ოპერა „სევილიელ დალაქში“.

26 ოქტომბერს ოპერა „ფაუსტში“ მეფისტოფელის პარტიაში გამოვა ცნობილი ბანი, პრაღის ეროვნული სამაკვი თეატრის პრემიერი ედუარდ გაკენი. ეს მომღერალი ამჟამად ერთ-ერთ სუკეთესო ბანად ითვლება ევროპაში. გარდა იმისა, რომ ჩინებული ხმა აქვს, ედუარდ გაკენი ბრწყინვალე მსახიობიც არის. იგივ ავრეთვე შეასრულებს დონ-ბაზილიოს პარტიას ოპერა „სევილიელ დალაქში“.

1957 წლის სესხის დაფარვის ტირაჟი

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროდან მიღებულია ცნობა, რომ 1960 წლის 30 ოქტომბერს მოსკოვში გაიმართება 1957 წლის გამოშვების სახელმწიფო სესხის დაფარვის მეოთხე ტირაჟი.

1962 წლის ბოლომდე ყველა ობლიგაციას, რომლებსაც მოგება არა ხვდა და არც დაფარვის ტირაჟში გასულა, სახელმწიფო გამოისყიდის მოსახლეობისგან ნომინალური ღირებულებით.

დაფარვის ტირაჟის ცხრილი გამოქვეყნდება ცენტრალურ და რესპუბლიკურ გაზეთებში.

ამინდი

26 და 27 ოქტომბერს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია მცირე მოღრუბლულობა უნალექოდ, აღმოსავლეთის ხუსტი, რიონის ხეობაში ზომიერი ქარი; ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 8-13, დღისით 20-25 გრადუსი, მთიან რაიონებში ღამით 0-5, დღისით 14-19 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში — ცვლადი მოღრუბლულობა, უმეტესად უნალექოდ, ხუსტი ქარი; ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 5-10, დღისით 19-24 გრადუსი, მთიან რაიონებში ღამით 2 გრადუსი ყინვა — 3 გრადუსი სითბო, დღისით 11-16 გრადუსი.

რედაქტორი
დ. მგელიშვილი.

25 ოქტომბერი

თეატრები: ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — ტრავიატა (მე-4 აბონ. I წარმ.), რუსთაველის სახელობის — როცა ასეთი სიყვარულია (მე-100 წარმოდგენა), მარჯანიშვილის სახელობის — ოჯახური კიბის რაიონის თვითმოქმედი კოლექტივების რაიონული ოლიმპიადა (დასაწყ. საღამოს 6 ს.), გრიბოედოვის სახელობის — დამოკლეს მახვილი, სანკულტურის — ჯაბნიანი გული (აბონ. გარეშე), ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — გაზაფხულის სიმღერა (მე-2 აბ. I წარმ. სომხური დრამის თეატრში), მოზარდ მაყურებელთა ქართული — გიორგი (აბ. № 20, 6 ს.), თოჯინების ქართული — ქაჯანა (11 და 2 ს.), ძერჟინსკის სახელობის კლუბი — ლენინგრადის ესტრადის მსახიობთა კონცერტი, ცირკი — რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ცირკის მსახიობთა გასტროლები.

ტელევიზია: 19.00 — გადაცემა ციკლიდან — „საბჭოთა ხელისუფლებისათვის მებრძოლნი“, 19.10 — კინოჟურნალი, 19.20 — გადაცემა ციკლიდან — „ქართველი საბჭოთა კომპოზიტორები — იონა ტუსკია, 20.00 — კინონარკვევი, 20.30 — ახალი ამბები, 20.40 — მხატვრული ფილმი — „მანდილოსანი ძაღლით“.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲨᲘ

მოსკოვი. 23 ოქტომბერი. აქ გაიმართა პირველი ფინალური ჯგუფის უკანასკნელი მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და მოსკოვის „დინამოს“ გუნდები. შეხვედრა დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:0.

ᲓᲝᲜᲘᲡ ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲘ. 23 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ. კიევის დინამოელებმა საკავშირო ჩემპიონატის უკანასკნელი ტურის შეხვედრა გაბათთა დონის როსტოვში ადგილობრივი არმიის სასპორტო კლუბის ფეხბურთელთა კოლექტივის წინააღმდეგ. მატჩი დამთავრდა ფრედ 1:1.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠ ᲯᲒᲣᲤᲨᲘ

რიგა. 23 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ. მეორე ფინალური ჯგუფის უკანასკნელი მატჩი ჩვენი ქვეყნის პირველობაზე ფეხბურთში შედგა რიგაში აღგილობრივ „დაუგავასა“ და ლენინგრადის „ადმირალტეიეის“ გუნდებს შორის. შეხვედრის შედეგია 3:1 რიგელთა სასარგებლოდ.

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠ ᲯᲒᲣᲤᲨᲘ

კუიბიშევი. 23 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ. მატჩი კუიბიშევში ადგილობრივი „კრილია სოვეტოვისა“ და სტალინის „ზასტიორის“ ფეხბურთელთა კოლექტივებს შორის დამთავრდა კუიბიშეველთა სასარგებლოდ ანგარიშით 4:2.

ᲮᲐᲠᲙᲝᲕᲘ. 23 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ. ლენინგრადის „ზენიტმა“ მესამე ფინალური ჯგუფის უკანასკნელი ტურის შეჯიბრება გამართა ხარკოვის „ავანგარდთან“, მატჩი დამთავრდა ფრედ 0:0.

ᲗᲐᲡᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲛᲝᲘᲐᲠᲗᲕᲔᲡ

ᲚᲣᲒᲐᲜᲡᲙᲘ. 24 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ. დღეს აქ გაიმართა განმეორებითი ფინალური მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირის თასზე ფიზკულტურული კოლექტივებისათვის. თამაშობდნენ ლენინგრადის „ეფანოვეცსა“ და ჩუგუევის „სტარტის“ გუნდები. გაიმარჯვეს ლენინგრადელებმა ანგარიშით 2:1. „ეფანოვეცს“ გადაეცა სსრ კავშირის თასი.

„Ბ“ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲢᲩᲘ

გასულ კვირადღეს თბილისის „ბურევესტნიკის“ სტადიონზე გაიმართა „ბ“ კლასის გუნდების მორიგი შეხვედრა ფეხბურთში. თამაშობდნენ სუმგაითის „მეტალურგისა“ და თბილისის „ბურევესტნიკის“ გუნდები. გაიმარჯვეს თბილისელებმა არგარიშით 2:1.

ᲯᲘᲚᲓᲝ—ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ

თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრში გაიმართა რესპუბლიკურ და სრულიად საკავშირო ზონალურ სპარტაკიადში შესწავლეთბის ალსანიშნავი საღამო. მოსწავლეებთან ერთად აქ შეიკრიბნენ მასწავლებლები, მშობლები, ცნობილი სპორტსმენები, განათლების ორგანოების, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაკები.

სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მეთოდური კაბინეტის გამგემ გ. მერკვილაძემ დამსწრეთ გააცნო სპარტაკიადის შედეგები, მოსწავლე სპორტსმენთა ახალი ამოცანები. მიესალმა მათ უფროსი თაობის სპორტსმენთა სახელით, სახოგადოება „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ბ. პაიჭაძემ მოეწოდა მოსწავლეებს ამრავლონ თავიანთი სპორტული წარმატებები, გახდნენ იმათი ღირსეული ცვლა, ვინც ახლა იცავს სამშობლოს სპორტულ ღირსებას.

საღამოზე ჯილდოები გადაეცა სპორტსმენებსა და გუნდებს, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი. საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილემ მ. ბურჭულაძემ დამსწრეთა ტაშის გრიალში გარდამავალი წითელი დროშა გადასცა რესპუბლიკურ სპარტაკიადაში გამარჯვებულს — თბილისის მოსწავლე სპორტსმენთა გუნდს. (საქდესი).

ᲓᲘᲓᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

Ი. ᲝᲡᲘᲞᲝᲕᲘ ᲓᲐ Ტ. ᲚᲘᲣᲑᲔᲪᲙᲐᲘᲐ — ᲗᲐᲡᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲔᲑᲘ

ᲘᲜ ᲘᲣᲛ დამთავრდა საქართველოსა და უნგრეთის უმაღლესი სასწავლებლების ნაკრები გუნდების საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფარიკაობაში, და თბილისს ეწვივნენ ჩვენი ქვეყნის უძველესი მოფარიკავეები მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან და სხვა ქალაქებიდან. აქ ისინი ჩამოვიდნენ სსრ კავშირის თასის გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად.

თვითეული იარაღით ბრძოლაში გარდამავალი ჯილდოს — თასის მოსაპოვებლად ერთმანეთს ეცილება 34 სპორტსმენი. შეჯიბრება მიმდინარეობს ოლიმპიური სისტემით. პირველ დღეს საფარიკაო ბილიკებზე გამოვიდნენ რაპირით მებრძოლი ვაჟები.

ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲒᲕᲘᲩᲕᲔᲜᲔ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲛᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲝᲡᲢᲐᲢᲛᲐ Ი. ᲝᲡᲘᲞᲝᲕᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡᲐᲪ ᲖᲔᲓᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲐᲛᲐᲠᲪᲮᲐ Ი. ᲒᲐᲠᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲘ ᲒᲘᲠᲩᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲓᲐᲒᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ.

Ტ. ᲚᲘᲣᲑᲔᲪᲙᲐᲘᲐ



Ი. ᲝᲡᲘᲞᲝᲕᲘ

• • •

ძოლ ქალებს. აქ ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ტ. ლიუბეცკაია (მოსკოვი) და ლ. ფილიპოვა (უკრაინა). შეჯიბრება დამთავრდა ტ. ლიუბეცკაიას გამარჯვებით ანგარიშით 9:7. მას გადაეცა სსრ კავშირის თასი, ავრეთვე ორი ჯილდო — პირველობისრიგოსანთა შორის საუკეთესო შედეგისათვის და საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის ჯილდო.

გუშინ თასის მოსაპოვებლად იბრძოლნენ დაშნით მებრძოლები.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲪᲮᲠᲘᲚᲔᲑᲘ

I-VI ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲐᲜᲘ

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	კ.
„ტორპედო“ (მ.)	10	6	2	2	17:9	14
„დინამო“ (კ.)	10	5	1	4	19:14	11
„დინამო“ (მ.)	10	5	1	4	12:10	11
სკა (რ.)	10	2	6	2	13:12	10
„ლოკომოტ.“ (მ.)	10	3	1	6	14:19	7
ცსკა	10	3	1	6	7:18	7

VII-XII ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲐᲜᲘ

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	კ.
„სპარტაკი“ (მ.)	10	5	3	2	19:14	13
„დინამო“ (თბ.)	10	5	2	3	18:12	12
„სპარტაკი“ (რ.)	10	4	3	3	11:12	11
„ადმირალტ.“ (ლ.)	10	4	1	5	17:15	9
„ბელარუსი“ (მნ.)	10	4	1	5	8:12	9
„დაუგავა“ (რ.)	10	1	4	5	10:18	6

XIII-XVIII ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲐᲜᲘ

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	კ.
„ავანგარდი“ (ხ.)	10	4	4	2	11:15	12
„პატაკორი“ (ტ.)	10	4	3	3	11:9	11
„ზენიტი“ (ლ.)	10	5	1	4	13:12	11
„კრ. სოვეტ.“ (კ.)	10	4	2	4	15:13	10
„შახტიორი“ (ს.)	10	4	2	4	10:12	10
„კაირატი“ (ა.)	10	3	0	7	6:15	6

XIX-XXII ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲐᲜᲘ

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	კ.
„ქალევი“ (ტ.)	6	2	3	1	8:11	7
„სპარტაკი“ (ვ.)	6	1	4	1	8:8	6
„ნეფტიანიკი“ (ბ.)	6	2	2	2	6:7	6
„მოლდოვა“ (კ.)	6	1	3	2	10:6	5

XIV ᲡᲐᲭᲐᲓᲠᲐᲙᲝ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲐ

ᲚᲐᲘᲞᲪᲘᲒᲘ. 24 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ. (საქდესი). კვირა საღამოს „მეხეპაუზის“ სატურნირო დარბაზში 4 ათასი მაყურებლის დასწრებით გაიმართა მე-14 საჭადრაკო ოლიმპიადის ნახევარფინალური შეჯიბრებთა მეშვიდე ტური.

მაყურებელთა ყურადღების ცენტრში იყო ორი მატჩი: არგენტინა-საბჭოთა კავშირი და ესპანეთი-ამერიკის შეერთებული შტატები.

საბჭოთა მოჭადრაკეები გამოდიოდნენ შემდეგი შემადგენლობით: მსოფლიო ჩემპიონი მ. ტალი, მსოფლიო ექს-ჩემპიონი მ. ბოტვინიკი, გროსმაისტერი პ. კერესი და მსოფლიო ექს-ჩემპიონი ვ. სმისლოვი. არგენტინის გუნდი გამოდიოდა ძირითადი შემადგენლობით საერთაშორისო გროსმაისტერის მ. ნაიდორფის მეთაურობით.

პირველ დაფაზე ბრძოლა დიდხანს არ გაგრძელებულა. უკვე დებიუტის სტადიაში ნაიდორფი, რომელიც თეთრებით თამაშობდა, ცდილობდა მდგომარეობის გამარტივებას. მეთორმეტე სვლაზე ეს შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. შეხვედრამდე ცოტა ხნით ადრე კერესმა საინტერესო სტოატეგიული ჩანაფიქრის შედეგად დაამარცხა ვექსლერი. თითქმის ერთდროულად სმისლოვმა მოიგერია შვებერის იერიში და აიძულა არგენტინელი ოსტატი დანებებულიყო.

გონებამახვილური მანევრული ბრძოლის შედეგად ბოტვინიკმა ხელთ იგდო ინიციატივა გროსმაისტერ ელისკაზესის წინააღმდეგ და გადადებულ პარტიაში შეინარჩუნა უპირატესობა. ჯერჯერობით სსრ კავშირ-არგენტინის მატჩის ანგარიშია 2,5:0,5 საბჭოთა გროსმაისტერების სასარგებლოდ.

ᲛᲔᲠᲕᲔ ᲢᲣᲠᲘ

ᲚᲐᲘᲞᲪᲘᲒᲘ. 24 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ. დღეს გაიმართა XIV საჭადრაკო ოლიმპიადის ნახევარფინალური შეხვედრების უკანასკნელისწინა მერვე ტური. სსრ კავშირის გუნდი თამაშობდა პოლონელ მოჭადრაკეებთან. პირველი გამარჯვება საბჭოთა გუნდს მოუტანა ვ. სმისლოვმა. მან დაამარცხა კოსტი. დანარჩენ პარტიებ გვიან ხალამომდე გრძელდებოდა. საბჭოთა მოჭადრაკეებს დიდი უპირატესობა ჰქონდათ.

ᲡᲐᲒᲒᲭᲝᲗᲐ ᲛᲝᲭᲐᲓᲠᲐᲙᲔᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ᲙᲐᲜᲑᲔᲠᲐ. 23 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ. (საკდესი). საბჭოთა გროსმაისტერი იური ავერბახი გამარჯვებული გამოვიდა ავსტრალიის ღია საჭადრაკო ჩემპიონატში, რომელიც დამთავრდა აღელაიდაში (სამხრეთი ავსტრალია). ი. ავერბახმა შეაგროვა 14 ქულა 15 შესაძლებლიდან.

მეორე ადგილზე გამოვიდა აგრეთვე საბჭოთა მოჭადრაკე ვლადიმერ ბაგიროვი, რომელმაც 11,5 ქულა შეაგროვა. ავსტრალიელმა მოჭადრაკემ ენძელინსმა დაიკავა მესამე ადგილი. ავსტრალიის პრესა აღნიშნავს საბჭოთა მოჭადრაკეების ოსტატობის მაღალ დონეს. კერძოდ, მელბურნის გაზეთი „ეიჯი“ წერს, რომ ავერბახმა და ბაგიროვმა „ავსტრალიელ მოჭადრაკეებს მისცეს ჭადრაკის თამაშის ძალი გაკვეთილი“.

ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ ᲣᲤᲡᲙᲠᲣᲚᲨᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ მდინარე ტყიბულა უხსოვარი დროიდან მეიდინებოდა გაკვლეული გზით. იგი შუაში ჩამოუვლიდა მეშახტეთა ქალაქ ტყიბულს, გაივლიდა ახალსოფლის თიხიან ტაფობს, მიადგებოდა წინწკილას კირქვიან კლდეს და უფსკრულში ინთქმებოდა. ამ ადგილს ხალმა „წყალდასავალი“ შეარქვა. მრავალი ლეგენდა არსებობს ბუნებიან ამ საოცარი ქმნილების — მდინარის მიწისქვეშა კარსტული კალაპოტის შესახებ. ვინ იცის, ადამიანთა რამდენ თაობას უოცნებია ამ უფსკრულს საიდუმლოებათა გამოცნობაზე, მაგრამ ამაოდ.

რამდენიმე წლის წინათ ტყიბულამ დატოვა ძველი კალაპოტი, უფრო სწორად, კომუნიზმის მშენებელმა ადამიანმა დაატოვებინა იგი. ტყიბულჰესის კაშხალმა მდინარეს გზა გადაუღობა და აიძულა დამორჩილებოდა ხალხის ნებას, ტყიბულამ სრულიად ახალი გზით, ჰიდროელექტროსადგურის საგენერატორო სადგურისაკენ იწყო დინება.

ტყიბულელ სპელეოლოგთა მიერ პიოზეული სიღრმე 34 მეტრით აღემატება საბჭოთა კავშირის რეკორდს, რომელიც ამ ერთი თვის წინათ დაამყარეს ყირიმში უკრაინელმა მღვიმური სპორტის ოსტატებმა.

ვ. ციბერკაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ ᲣᲤᲡᲙᲠᲣᲚᲨᲘ

მთის მდინარე ტყიბულა უხსოვარი დროიდან მეიდინებოდა გაკვლეული გზით. იგი შუაში ჩამოუვლიდა მეშახტეთა ქალაქ ტყიბულს, გაივლიდა ახალსოფლის თიხიან ტაფობს, მიადგებოდა წინწკილას კირქვიან კლდეს და უფსკრულში ინთქმებოდა. ამ ადგილს ხალმა „წყალდასავალი“ შეარქვა. მრავალი ლეგენდა არსებობს ბუნებიან ამ საოცარი ქმნილების — მდინარის მიწისქვეშა კარსტული კალაპოტის შესახებ. ვინ იცის, ადამიანთა რამდენ თაობას უოცნებია ამ უფსკრულს საიდუმლოებათა გამოცნობაზე, მაგრამ ამაოდ.

რამდენიმე წლის წინათ ტყიბულამ დატოვა ძველი კალაპოტი, უფრო სწორად, კომუნიზმის მშენებელმა ადამიანმა დაატოვებინა იგი. ტყიბულჰესის კაშხალმა მდინარეს გზა გადაუღობა და აიძულა დამორჩილებოდა ხალხის ნებას, ტყიბულამ სრულიად ახალი გზით, ჰიდროელექტროსადგურის საგენერატორო სადგურისაკენ იწყო დინება.

„წყალდასავალის“ უფსკრულში მკვეთრად შემცირდა წყლიანობა. საბურველი ჩამოიხსნა, გამოჩნდა მღვიმის შესასვლელი. ამან უდიდესი ინტერესი გამოიწვია მღვიმეთა სპორტის მიმდევრებში. ოქტომბრის პირველ დეკადაში ტყიბულის სპორტული საზოგადოების სპელეოლოგიური ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ სპორტია ოსტატი ა. ნემსაწვერიძე, თამასელი ვ. გაბელაშვილი (ხელმძღვანელი), მასწავლებელი ნ. ბუაძე, მარქშეიდერი მ. ფორჩხიძე, ინჟინერი ნ. მუშკუდიანი, მეათე კლასის მოსწავლეები ა. ლოლაძე და დ. გურგენიძე, დაიწყეს მზადება „წყალდასავალის“ უფსკრულში ჩასასვლელად. მალე მამაცმა სპელეოლოგებმა გადამწყვეტი იერიში მიიტანეს მდინარე ტყიბულას კალაპოტზე. დაძლეულ იქნა მიწისქვეშა ჩანჩქერები, ღრმა ტბები, არხები, ვიწრო ხვრელები და შვეული, გლუვი კარსტული ქედლები.

უშიშარმა სპორტსმენებმა უფსკრულში 19 საათს დაჰყვეს და ჩააღწიეს 280 მეტრის სიღრმემდე.

ტყიბულელ სპელეოლოგთა მიერ

ᲕᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲗ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲖᲔ

რედაქციაში შემოსული ფერილებით მუშრომელები გვთხოვენ დავეხმიოდთ სპეციალისტთა კონსულტაციები სამედიცინო თემაზე.

ჰიპერტონიკმა მაღაროელმა, ამჟამად კენსიონერმა